**დუნდუას** ქეთევან დომენტის ასულს — აბაშის რაიონის მარნის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ზასლავსკაიას** ვალენტინა ვლადიმერის ასულს — თბილისის № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ზედგენიძეს** დავით ექვთიმეს ძეს — ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

**ზუხბას** შუდი კონსტანტინეს ასულს — ოჩამჩირის რაიონის ჰლოუს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**თურმანიძეს** მევლუდ იოსების ძეს — აჭარის ასსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდკაბინეტის გამგეს.

**კალანდაძეს** გენრიეტა მაქსიმეს ასულს — თბილისის № 58 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

**კანაჭაძეს** ჟოზია იასონის ასულს — ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტს.

**კანდელაკს** ელენე ნიკოლოზის ასულს — თბილისის № 47 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კვარაცხელიას** ვარლამ ონისიმეს ძეს — წალენჯიხის რაიონის ჯგალის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კვირკველიას** ბაბუცა ლეონტის ასულს — ჩხოროწყუს № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კირვალიძეს** დავით რაჟდენის ძეს — თელავის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კულაკოვს** ვლადიმერ მიხეილის ძეს — თბილისის № 43 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ლაბაძეს** ალექსანდრე პარმენის ძეს — ჭიათურის ნიგოზეთის საშუალო სკოლის დირექტორს.

**ლადიძეს** ეკატერინე ვასილის ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

**ლოლიაშვილს** ლენა სოლომონის ასულს — ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ლომთათიძეს** თინათინ პეტრეს ასულს — დუშეთის № 1 საშუალო სკოლის ლოგოპედს.

**მაისურაძეს** ბაგრატ მიხეილის ძეს — ონის რაიონის წედისის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

**მალაშხიას** თინა ალექსანდრეს ასულს — სოხუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**მალიგინას** ტაისია პეტრეს ასულს — სოხუმის № 14 საშუალო სკოლის დირექტორს.

**მარუხიანს** გიორგი ჰაიკის ძეს — თბილისის № 98 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**მელქონიანს** ნინო მკრტიჩის ასულს — ახალქალაქის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**მიქელაძეს** შოთა ახმეტის ძეს — ქედის რაიონის ორცვის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

**მშვიდობაძეს** დავით ივანეს ძეს — ლანჩხუთის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორს.

**მჭედლიშვილს** ალექსანდრე ილიას ძეს — სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს.

**ნასარიძეს** ვალერიან სეფეს ძეს — მცხეთის რაიონის დიღმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**პატურაშვილს** კონსტანტინე ზაქარიას ძეს — თიანეთის რაიონის ჩეკურაანთგორის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

**ჟორდანიას** ევგენია აბრამის ასულს — თბილისის № 28 ბაგა-ბაღის გამგეს.

**როინიშვილს** ფილიმონ მიხეილის ძეს — თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 33 სკოლის დირექტორს.

**სანაძეს** ბარბარე ილიას ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**სულავას** მზია თევდორეს ასულს — გეგეჭკორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს.

**სულეიმანოვს** სადიგ-გაჯი ოღლის — დმანისის რაიონის იაყუბლოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ფრუიძეს** გიგილა სტეფანეს ძეს — ქუთაისის სახალხო დეპუტატთა ავტიქარხნის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

**ფუთურიძეს** ბაია ბიძინას ასულს — თბილისის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ქადეიშვილს** ნინო ზაქარიას ასულს — თბილისის № 72 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ქათამაძეს** ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს — ამბროლაურის რაიონის სადმელის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შავლაძეს** ნიკოლოზ მინას ძეს — სამტრედიის რაიონის ეწრის საბავშვო სახლის დირექტორს.

**შოშიაშვილს** იულია ლონგინოზის ასულს — თბილისის № 156 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჩიმაკაძეს** ნადეჟდა პეტრეს ასულს — ბათუმის რკინიგზის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორს.

**ჩიჩუას** ოლღა არსენის ასულს — თბილისის № 169 გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჩუბინიძეს** ქეთევან რაჟდენის ასულს — მახარაძის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჩქარეულს** ირაკლი კასპოლის ძეს — ყაზბეგის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

**ძაგნიძეს** ანტისა ვარლამის ასულს — ვანის რაიონის ს. მ. კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ძნელაძეს** ელენე სტეფანეს ასულს — თბილისის სახალხო დეპუტატთა კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

**ჭეიშვილს** შოთა იუსტინეს ძეს — წალენჯიხის რაიონის № 1 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

**ხარებავას** შალვა სპირიდონის ძეს — ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

**ხასიევს** ვლადიმერ იოსების ძეს — პერსონალურ პენსიონერს.

**ჯავახიშვილს** ზინაიდა მიხეილის ასულს — ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჯაფარიძეს** ნადეჟდა სევერიანეს ასულს — მესტიის რაიონის ლენჯერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჯაფარიძეს** ქეთევან ალექსანდრეს ასულს — თბილისის № 67 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჯაფარიძეს** პაშა ტარასის ასულს — მესტიის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჯიოევას** სვეტლანა გიორგის ასულს — ჯავის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჯულაყიძეს** ჟოზე ფედოტის ძეს — ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**რურუას** ივლიანე პარმენის ძეს — თბილისის სახალხო დეპუტატთა ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების უფროს რევიზორ-ინვენტარიზატორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 44 ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 45 ამხ. ა. ა. არტაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ალექსანდრე არტემის ძე არტაზოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 46 ამხ. ვ. ვ. სერედას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებსა და მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ენერგეტიკისა და მძიმე მრეწველობის განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. ვიქტორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორის ძე სერედა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 47 ამხ. ვ. ი. ქარუმიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორი ამხ. ვახტანგ ივანეს ძე ქარუმიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 22 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49** **საოლქო გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საოლქო გაზეთი „სოვეტსკაია ადჟარია"** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**50** **ამხ. შ. ი. ქურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა აჭარის" პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქტორი ამხ. შოთა ისიდორეს ძე **ქურიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 22 თებერვალი.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 51 ამხ. ვ. პ. მარღანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ »სოვეტსკაია აჭარიას“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქტორი ამხ. ვლადიმერ პეტრეს ძე მარღანიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 52 ამხ. დ. ზ. ავაზაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე პროფესორი დავით ზაქარიას ძე **ავაზაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 53 ამხ. გ. კ. გამსახურდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიის მეცნიერე-

53—455
ბიბლიოთეკა

ბათა დოქტორი გრიგოლ კაჟნას ძე გამსახურდია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 ამხ. ვ. პ. კლოჩკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ტრესტ „საქელექტრომონტაჟის" ყოფილი მმართველი ამხ. ვლადიმერ პეტრეს ძე კლოჩკო დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 ამხ. შ. ბ. მეგრელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგე ამხ. შამშე ბართლომეს ძე მეგრელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 56 ამხ. ხ. მ. მიქავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე — წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ხუშუტი მიხეილის ძე **მიქავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 57 ამხ. ვ. ვ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გამგე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ამხ. ვახტანგ ვარლამის ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 58 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქ. მ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის 25 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**დიდებულიძე** კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — ლაბორატორიის გამგე.

**როსტიაშვილი** ალექსანდრე დავითის ძე — ლაბორატორიის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 ამხ. მ. ი. ლოხვიცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი მიხეილ იურის ძე **ლოხვიცკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 26 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1982 წლის 24 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს სსრ მეთვრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მორიგ არჩევნებს. არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით შემუშავდა ზოგიერთი ორგანიზაციული ღონისძიება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების მომზადება და ჩატარება, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რაც ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის. აღმასკომებს დაევალათ:

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის მთელ თავიანთ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ძირითად ორგანიზაციულ და საგიტაციო-პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ. მის შესაბამისად და შესასრულებლად შეიმუშაონ და დაამტკიცონ კონკრეტული სამუშაო გეგმები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად და უზრუნველყონ არჩევნების ჩატარება არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით;

მიიღონ საჭირო ზომები საარჩევნო კომისიების კარგად მოწყობილი შენობებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველსაყოფად;

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ანგარიშით გამოვიდნენ საბჭოების სესიებზე, მშრომელთა კოლექტივებში და მოსახლეობის წინაშე სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი აღმასკომის, განყოფილებების, სამმართველოებისა და სამსახურების მუშაობის შესახებ;

1982 წლის მარტის ბოლომდე უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე; დაეხმარონ დეპუტატებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის მიცემული განაწესების შესრულების შესახებ ინფორმაციის მომზადებაში;

უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად შრომითი კოლექტივების კრებების მაღალ დონეზე ჩატარება;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრების ორგანიზაციაში; უზრუნველყონ დეპუტატობის კანდიდატთათვის მიცემული განაწესების, აგრეთვე ამომრჩეველთა იმ წინადადებების გულდასმით აღრიცხვა და განზოგადება, რომლებსაც ამომრჩევლები გამოთქვამენ წინასაარჩევნო კრებებსა და დეპუტატობისა და სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებთან შეხვედრებზე, და ორგანიზაცია გაუწიონ მათ განხორციელებას;

სერიოზული ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განცხადება-საჩივრებს, დროულად განიხილონ ისინი და განმცხადებლებს გასცენ ამომწურავი პასუხი; ამასთან უზრუნველყონ გულისხმიერი დამოკიდებულება მშრომელთა გამონათქვამებისადმი, წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნებისადმი; მიიღონ ზომები საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დეპუტატობის, სახალხო მოსამართლეობის და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებად შერჩეულ იქნენ პატიოსანი, კეთილსინდისიერი მოქალაქენი, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით, ხასიათდებიან საჭირო პოლიტიკური, მორალური, საქმიანი თვისებებით და უნარი შესწევთ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი;

ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მომავალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით; სისტემატურად მოაწყონ მოხსენებების, ლექციების კითხვა, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობათა, სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების განმარტებას, საბჭოთა კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების საკითხებს; არჩევნებისათვის მზადებაში აქტიურად ჩააბან კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და აგიტმხატვრული ბრიგადები.

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ძირითად ღონისძიებათა კალენდარული გეგმა და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

1982 წლის 4-10 იანვარს ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირეულის ჩატარების შედეგების თაობაზე, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ინფორმაციების შესახებ საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებით ამომრჩევლებთან დეპუტატთა შეხვედრების ერთიანი დღის ჩატარების შესახებ, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები ახორციელებენ რიგ ორგანიზატორულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა საქმიანობის შემდგომ გააქტიურებას, ამომრჩევლების წინაშე მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების კვირეულის განმავლობაში 365 დეპუტატმა, ანუ საერთო რაოდენობის 83 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა 109 ათასზე მეტ ამომრჩეველს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ამომრჩევლებს გააცნეს მშრომელთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების მეექვსე და მეოთხე სესიების დადგენილებებით დასახული ამოცანები, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების და 1982 წლის სახელმწიფო გეგმები, რესპუბლიკის 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ანგარიში ჩააბარეს სადეპუტატო მოვალეობისა და განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დეპუტატების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებიდან ჩანს, რომ ამომრჩევლები იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, თავდადებით იბრძვიან მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, „საბჭოთა კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდა დეპუტატთა საქმიანობა, განმტკიცდა მათი კავშირი ამომრჩევლებთან.

დეპუტატთა შეხვედრები ჩატარდა მაღალი აქტიურობის ვითარებაში. სიტყვით გამოვიდა 2.640 ამომრჩეველი, გამოითქვა 1.150 წინადადება, შენიშვნა, სურვილი და მოსაზრება პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებზე, მოსახლეობის საარსებო სოციალურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე. ამომრჩევლებმა და თვით დეპუტატებმა აიღეს ახალი ვალდებულებები საგეგმო დავალებათა ვადაზე ადრე შესრულების, ნედლეულის და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვის უზრუნველსაყოფად. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 175 დეპუტატი ეწვია საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათი ოპერატიული ჩარევით ადგილზე გადაიჭრა 360 საკითხი.

ამომრჩევლების მიერ კრებაზე გამოთქმული მნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები დეპუტატებმა დააყენეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, ცალკეული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე და სხვ.

ამასთან აღინიშნა აგრეთვე, რომ ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზაციის საქმეში შეინიშნებოდა ხარვეზები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. დ. დიასამიძის ინფორმაცია მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ, აღნიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გააუმჯობესეს დეპუტატებისა და აქტივის საქმიანობა მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

მომჭირნეობის რეჟიმის განუხრელად დაცვისა და დანაკარგებთან ბრძოლის საკითხები ხშირად იხილება სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, შრომით კოლექტივებში, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებებზე, სოფლის ყრილობებზე.

ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემუშავებულია მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ და თანამიმდევრულად დაცვის საორგანიზაციო-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა.

საბჭოები აქტიურად ეხმაურებიან და მხარს უჭერენ მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში მშრომელთა ინიციატივას, სასარგებლო წამოწყებებსა და თაოსნობას, რომლებიც მიმართულია XI ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის წარმატებით შესასრულებლად.

ადგილობრივი პრესა სათანადო ყურადღებით ეკიდება მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის საბჭოებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდას, მაგრამ მიუხედავად გაწეული მუშაობისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა შესასრულებლად ავტონომიურ რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკაში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა ჯერ კიდევ დაბალია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აჭარის ასს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათ აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს თავიანთ საქმიანობაში კვლავაც განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილების მოთხოვნებით, ამ პლენუმზე ეკონომიკური განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე გადაყვანის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით; ამ მიზნით:

— განახორციელონ სათანადო ღონისძიებები ადგილობრივი ნედლეულის უფრო სრულად გამოყენებისათვის; აქტიურად შეუწყონ ხელი მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას; შეიმუშაონ მატერიალური და მორალური წახალისების დამატებითი ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისათვის, ნედლეულის, მასალის, სათბობის, ენერგიის ხარჯვის შემცირებისა და დანაკარგების აღმოფხვრისათვის; გააძლიერონ კონტროლი წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვისა და შრომის კანონმდებლობის შესრულებისადმი;

— მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცების საქმეში ფართოდ ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები; მოსახლეობაში აწარმოონ ყოველდღიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა სასურსათო პროდუქტების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე; მკაცრი ბრძოლა გამოუცხადონ სახალხო მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში უყაირათობას, სახალხო დოვლათისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უფრო ფართოდ უნდა გაავრცელოს საბჭოებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილება მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში. მუდმივი ყურადღება დაუთმოს მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების საუწყებათაშორისო კომისიების მუშაობას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისას გაითვალისწინოს ამ კომისიების შენიშვნები და წინადადებები.

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ო. მელქაძის მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შესახებ 1981 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ო. მელქაძის ინფორმაცია 1981 წელს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შესახებ; საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაავალა თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მოთხოვნებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების სხვა გადაწყვეტილებებით; მიაღწიოს იმას, რომ კონტროლი იყოს უფრო ქმედითი, ხელი შეუწყოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის განმტკიცებას, XI ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებას; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ყოფა-ცხოვრების სფეროში დანაკარგებთან ბრძოლას; დღენიადაგ ადევნოს თვალყური, რომ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დროულ რეაგირებას ახდენდნენ სახალხო კონტროლიორების წინადადებებსა და შენიშვნებზე; სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით ხელი შეუწყოს სასურსათო პროგრამის შესრულებას; გააქტიუროს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან მოქმედი სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა;

მეტი ყურადღება დაუთმოს კონტროლის საჯაროობას; განაზოგადოს სახალხო კონტროლიორთა მუშაობის დადებითი გამოცდილება, ამ საქმეში გამოიყენოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობანი.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ აამაღლონ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა; სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქმის ვითარებაზე გავლენის გაძლიერების მიზნით საჭირო დახმარება გაუწიონ მათ საკონტროლო საქმიანობის შემდგომ სრულყოფაში; ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მდგომარეობის შეფასებისას განსაკუთრებული სიმკაცრით მოეკიდონ აღრიცხვა-ანგარიშგებაში მიწერებისა და წამატებების ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს; სესიებზე რეგულარულად მოისმინონ კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშები, ინფორმაციები საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობიდან და შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე; შემოწმებების, რეიდებისა და დათვალიერების ჩატარებისას გააძლიერონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედება.

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა აგრეთვე საკითხები საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1981 წლის შედეგების შესახებ, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების თაობაზე, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში 1981 წელს მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ, მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის ინფორმაციის თაობაზე, 1981 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიშის შესახებ და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.